# საქართველოში რეგიონული ტექნოპარკების შექმნის საკითხისათვის

*ნათელა მარტინენკო*
*სტუ-ს დოქტორანტი,*
*უფროსი მასწავლებელი*
***E-mail: natiamart@mail.ru***

**რეზიუმე**

რეგიონული ტექნოპარკების შექმნის პროექტის რეალიზაციის საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს რეგიონის არსებული ინოვაციური პოტენციალის ანალიზი. შემდეგ არჩეული იქნეს რეგიონული ტექნოპარკის ტიპი საწარმოო ელემენტებით, რომელიც მოგვცემს რეგიონში განთავსებული ინოვაციური რესურსების ინტეგრირების საშუალებას ერთიან სისტემაში. შემდეგ ეტაპზე უნდა შემუშავდეს და აიგოს რეგიონის ინოვაციური გარემოს კოგნიტიური მოდელი, შეირჩეს მისი ორგანიზაციული ფორმა და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა მისი ფუნქციონირებისათვის. შედგეს ორგანიზაციების და სპეციალისტების რეესტრი, რომლებსაც გააჩნიათ ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის საჭირო პოტენციალი და ინოვაციების პოტენციური მომხმარებლების რეესტრი, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური პროცესების დაფინანსებას. ბოლოს მოხდეს შესაქმნელი რეგიონული ტექნოპარკის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და კონტროლის პროცედურების რეგლამენტირება.

ინოვაციური პროცესების ეფექტიანი მართვა ყველა დონეზე მოგვცემს ქვეყნის, მისი რეგიონების, ცალკეული ტერიტორიების მდგრადი განვითარების საშუალებას.

ინოვაციების შექმნისა და წარმოების მიხედვით თავისი მიზნების მისაღწევად ინოვაციური საწარმო ახორციელებს ინოვაციურ საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული საქმიანობის ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნისა და ბაზარზე დანერგვისაკენ, ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესის შექმნისაკენ, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებისაკენ, ან ახალი ან გაუმჯობესებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმის შექმნის ან გამოყენებისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ეკონომიკურ ან/და საზოგადოებრივ სარგებელს.

რეგიონის ინოვაციური სტრუქტურის შემადგენლობაში რეგიონული ტექნოპარკების ინტეგრაციისა და ტექნოპარკის რაციონალური სტრუქტურის არჩევისათვის საჭიროა ინოვაციური გარემოს კვლევა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საქართველოში არსებული ინოვაციური პოტენციალის ანალიზი ხორციელდება იმ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ავრცელებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები, რომელიც მიღებულია ინოვაციების მომხმარებლების გამოკითხვის შედეგად, ასევე ექსპერტების და საექსპერტო ჯგუფების გამოკითხვის შედეგად.

საქართველოს საწარმოებს და განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს აქვთ საკმაოდ მაღალი ინოვაციური პოტენციალი და საკმაოდ მაღალი მოთხოვნა ინოვაციებში.

ეს დასტურდება იმ მსხვილი და საშუალო სამრეწველო საწარმოების, ფინანსური დაწესებულებების ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგად, რომლებსაც აქვთ ინოვაციური საქმიანობის განხორციელების პოტენციური შესაძლებლობა.

ამასთანავე, საქართველოს სამრეწველო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდება მოძველებული ტექნოლოგიების, მოწყობილობების დიდი ხვედრითი წილის არსებობით, ამასთან, სწრაფ ინოვაციურ განახლებას ხელს უშლის საჭირო საინვესტიციო რესურსების არსებობა, ასევე იმ კვალიფიციური პერსონალის არარსებობა, რომელიც წინ წაწევდა ინოვაციურ შემუშავებებს.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო პოტენციალი გააჩნია საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს. მათ შორის არის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ მეზობელი ქვეყნების სტუდენტებს და თავისი პოტენციალის მიხედვით აქვთ სარეგიონთაშორისო დანიშნულება.

მიუხედავად ამისა, სამეცნიეო-კვლევითი სექტორის ანალიზმა გამოავლინა წარმოებუ-

ლი კვლევების პროდუქტიულობის დაბალი დონე, რაც ნათელია, რომ დაკავშირებული უნდა იყოს თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობების არარსებობით, მრეწველობასთან სუსტი კავშირების არსებობით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების არასაკმარისი დაფინანსებით. აღნიშნული ფაქტორები უარყოფითად ზემოქმედებენ სამეცნიერო ორგანიზაციების ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობაზე.

მთლიანობაში საქართველოს ინოვაციური პოტენციალი ხასიათდება არსებითად განაწილებული ინოვაციური რესურსებით, რომელთა ინტეგრირება შესაძლებელია ერთიან ინოვაციურ სტრუქტურაში.

შემდეგ ეტაპზე არჩეული უნდა იქნეს რეგიონული ტექნოპარკის ტიპი საწარმოო ელემენტებით, რომელიც მოგვცემს რეგიონში განთავსებული ინოვაციური რესურსების ინტეგრირების საშუალებას ერთიან სისტემაში.

ასეთი ტექნოპარკის შექმნა არ საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ და სხვა დანახარჯებს, რადგან მისი შექმნის პროცესში გამოიყენება არსებული ინოვაციური პოტენციალი. ხოლო ასეთი ტექნოპარკის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს რეგიონში ინოვაციური პროცესების ყველა მონაწილის ინფორმაციული ურთიერთქმედების ორგანიზაცია და ქმედებების კოორდინაცია.

ვინაიდან საბაზო ორგანიზაცია-კოორდინატორს აქვს განკარგულებაში რიგი სამეცნიერო ლაბორატორიებისა, შესაქმნელი ტექნოპარკი ნაწილობრივ შეასრულებს საწარმოო ფუნქციებს.

შემდეგ ეტაპზე უნდა შემუშავდეს და აიგოს რეგიონის ინოვაციური გარემოს კოგნიტიური მოდელი, შეირჩეს მისი ორგანიზაციული ფორმა და ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა მისი ფუნქციონირებისათვის.

მის ასაგებად საქართველოს სტრატეგიული განვითარების მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს განსახილველი მოდელის კონცეპტების სრული ჩამონათვალი:

1. 1. საწარმოების ინოვაციური აქტივობის დონე.
2. ინოვაციურ საქმიანობაზე რეგიონული გადასახადების გავლენის დონე.
3. რეგიონული ბიუჯეტის ოდენობა.
4. რეგიონის კონკურენტუნარიანობა.
5. გამოშვებული მეცნიერტევადი პროდუქციის მოცულობა.
6. რეგიონის ინოვაციური პოტენციალის დონე.
7. ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობა.
8. სპეციალისტების მომზადების დონე.
9. ინოვაციური სტრუქტურების (ტექნოპარკები, ვენჩურული კომპანიები და სხვ.) ეფექტიანობა.
10. რეგიონიდან სპეციალისტების დენადობა.

საქართველოს ინოვაციური გარემოს კოგნიტიური მოდელის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიზნობრივ კონცეპტზე - რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე დიდი გავლენა აქვს სამ კონცეპტს: ინოვაციურ საქმიანობაზე გადასახადების დონეს, ინოვაციებში ინვესტიციების მოცულობას და ინოვაციური სტრუქტურების (ტექნოპარკები, ვენჩურული კომპანიები და სხვ.) ეფექტიანობას.

რეგიონული ინოვაციური გარემოს კვლევისას კოგნიტიური მოდელირების მეთოდების გამოყენება საკმაოდ პერსპექტიულად მიგვაჩნია. ინოვაციური გარემოს ელემენტებს შორის ურთიერთქმედების შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის არსებობისას ასევე პერსპექტიულად მიგვაჩნია კოგნიტიური მოდელირების არამკაფიო-ლოგიკური მეთოდების გამოყენება, რომელიც სიტუაციური ასპექტების და სიტუაციის განვითარების დინამიკის უფრო ღრმა კვლევის საშუალებას მოგვცემს.

ტექნოპარკის ორგანიზაციული ფორმის და მისი ფუნქციონირების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შერჩევისას, გავაანალიზეთ რა ტექნოპარკის შექმნის სამართლებრივი ფორმის სხვადასხვა ვარიანტები, ყველაზე მეტად მისაღებად ჩავთვალეთ არაკომერციული ამხანაგობის ვარიანტი.

შემდეგ ეტაპზე უნდა შედგეს ორგანიზაციების და სპეციალისტების რეესტრი, რომლებსაც აქვთ ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის საჭირო პოტენციალი და ინოვაციების პოტენციური მომხმარებლების რეესტრი, რომლებიც შეძლებენ ინოვაციური პროცესების დაფინანსებას.

აღნიშნული რეესტრი უნდა იქნეს შენახული შექმნილი ინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზაში და გამოყენებული იქნეს ინოვაციური პროცესების კოორდინაციისათვის. მოძიებული და შენახული უნდა იქნეს დაწვრილებითი ინფორმაცია ინოვაციურად აქტიური საწარმოების შესახებ, იმ სამუშაოების მითითებით, რომლის შესრულებაც მათ შეუძლიათ რეგიონში ინოვაციური პროცესების მიმდინარეობის ჩარჩოებში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდგომ წლებში აღნიშნული სიის მონაცემების მნიშვნელოვანი გაზრდა ორგანიზაციებისა და ცალკეული სპეციალისტების ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად მოზიდვის გზით ქვეყნის განვითარების პროგრამის შესაბამისად.

შემდეგ ეტაპზე იდება ხელშეკრულებები

ქსელური ტექნოპარკის მონაწილეთა ერთობლივი საქმიანობის შესახებ, ასევე ხდება პროექტების რეალიზაციის მსვლელობისას მათი ურთიერთქმედებების რეგლამენტირება.

ბოლოს მოხდეს შესაქმნელი რეგიონული ტექნოპარკის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლებისა და კონტროლის პროცედურების რეგლამენტირება.

საქართველოს ტექნოპარკების შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება იქცეს მათი ინტეგრაცია მეზობელი ქვეყნების ინოვაციურ სტრუქტურებთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

1.А.В. Андрейчиков, О.Н.Андрейчикова. Системный анализ и синтез стратегических решений в инноватике. Концептуальное проектирование инновационных систем.М.: ЛЕНАНД, 2014.

2. http://cyberleninka.ru

# THE ISSUE ABOUT CREATION OF REGIONAL TECHNO PARKS IN GEORGIA

***NATELA MARTINENKO***
***Georgian Technical University***
***Senior Teacher, Doctoral Candidate***
***E-mail: natiamart@mail.ru***

**Summary**

In order to be able project realization of techno parks, first of all we have to analyze innovative potential of the region. Then there should be selected type of regional techno park with product elements, which will give us the opportunity to integrate all recourses in united system. Next, should be designed and create cognitive model of innovative environment. There is necessary to define organizational form and create normative legal base for Its function, to make data of organizations and specialists, who have enough ability to realize all projects. Creating a list of potential consumer, who will be able to finance innovation processes is necessary as well. Finally should be analyzed efficiency indicators of activities and control the process of creating regional technology park.

# К вопросу создания региональных технопарков в Грузии

**Натела Мартыненко**
**ГТУ ст. преподаватель, докторант**
***E-mail: natiamart@mail.ru***

На первом этапе реализации проекта создания регионального технопарка должен быть проведен анализ существующего инновационного потенциала региона. Затем должен быть выбран такой тип регионального технопарка с производственными элементами, который позволит интегрировать распределенные инновационные ресурсы в единую систему. На следующем этапе должна быть разработана и построена когнитивная модель инновационной среды региона, осуществлен выбор организационной формы и нормативно-правовой базы его функционирования. Составлен реестр организаций и отдельных специалистов, обладающих необходимым потенциалом для реализации инновационных проектов и реестр потенциальных потребителей, которые смогут финансировать инновационные процессы. В завершении будут регламентироваться показатели и процедуры контроля эффективности деятельности создаваемого регионального технопарка.